**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

[illegible] დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

**საქართველოს**

**გეოგრაფია**

1 წიგნი

**სამცხე**

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

---

13 ივნისს, შაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში შესავალ-გასავლისა.

2) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

3) გამგეობის წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—5)


---

### ხოლერა ბაქოში.

გაზეთ „Каспій“-ში ამოვიკითხეთ შემდეგი ქალაქ ბაქოში ხოლერის გავრცელების შესახებ: 6 ივნისს საღამოთი და მეორე დღეს, 7 ივნისს ქსენონში მიიყვანეს სულ 25 ავადმყოფი, რომელთ შორისაც გარდაიცვალა 10. გარდაცვლილთა შორის 1 გერმანელია, 4 სომეხი, 2 მაჰმადიანი და 3 რუსი. ხოლერის მსვლელობის შესახებ შემდეგს ნომრებში ყოველთვის გამოვაცხადებ ცნობებსაო, ამბობს გაზეთი.

ხოლერა გაჩნდა ბაქოსა და შავქალაქს შორის, საიდგანაც ავადმყოფები ბირჟის ეტლებით მიჰყავთ ქსენონში. ბაქო სრულიად მოუმზადებელია ხოლერასთან საბრძოლველად. გაზეთებმა ადრევ ბევრი ილაპარაკეს და ურჩიეს ბაქოს ქალაქის საბჭოს ამ თავითვე იზრუნეთ რამეო. მაგრამ საბჭომ არ შეისმინა ეს ლაპარაკი.

ამ ჟამად ბაქოს ქუჩები არ ირწყვის ნავთით, სახლები არ ისინჯება, ბაზარსა და დუქნებში აუარებელი მწვანილი და სხვა სალეველია წამხდარ-დამპალი, მეთულუხეთა ბოჩკები უსუფთაოებია. ერთის სიტყვით არავითარიმე თადარიგის დაჭერა არ ეტყობა ბაქოს ხოლერასთან საბრძოლველად. ქალაქის საბჭოს ხმოსნები გაჰშორდნენ ბაქოსა და გაიქცნენ. ალარავინ არის, რომ საბჭოს კრება მოახდინონ და ფული გადასდონ ხოლერასთან საბრძოლველად. ამ სახით, ხოლერას გამანადგურებელს სენს ველარა დააბრკოლებს-რა, რომ თავისუფლად გავრცელდეს, მოედოს მთელს ქალაქს და თავისი მოსამკალი მოიმკოს. ძლივ-ძლიობით გამართეს ქსენონში საწოლი 20 ავადმყოფისათვის, მაგრამ 7 ივნისს დილითვე საწოლები სულ დაიჭირეს ხოლერიანმა ავადმყოფებმა და ახლებისათვის ალაგი სრულიად აღარ დარჩა.

ავადმყოფთათვის არც განსაკუთრებული ეტლები აქვთ, არც ტასტები, არც სადეზინფექციო წამლები და, ასე გასინჯეთ, სასანიტარო მკურნალს მიკროსკოპის შეძენაც-კი ვერ მოუხერხებია დროზე და ეხლა დაიბარა მოსკოვიდგან. ასეთის უთავბოლობის გამო სენი ადვილად ვრცელდება, რადგან ხოლერიანები განცალკევებულნი არ არიან, საღს ხალხსა სდებს სენს სახმარებელი ჭურჭელ-ავეჯეულობა და ეტლებიც საერთო აქვთ. ფერშლები უარზე დგანან და არ შედიან ხოლერიან ავადმყოფებთან. ესევე სულმდაბლად მოიქცა ორდინატორი ქსენონისა. ქსენონის ზედამხედველმა დროზედ უშველა თავს და ბაქოდგან წავიდა. პოლიცმეისტერმა რამდენიმე ოქმი შეადგინა იმის თაობაზედ, რომ სახლის პატრონებს სასანიტარო წესდება არ შეესრულებინა, მაგრამ იმანაც ბოლოს თავი მიანება, რაკი შეატყო, რომ მარტო მე ამ ჩემის ოქმებით ვერას გავხდებიო.

ერთის სიტყვით, ბაქო დიდს გაჭირვებაშია და მშველელი ჯერ არავინ გამოსჩენია.

ბაქოს გარდა, მთელის რუსეთისთვის ძლიერ საშიშია ეს სენი. ასტრახანსა და ზემოდ მდინარე ვოლგას პირის ქალაქებსა და სოფლებში ადვილად შეიძლება გადავიდეს და გამძვინვარებით მოედოს სიმშილისაგან სტომაქ დასუსტებულს ხალხსაო.

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენის რკინის გზის გამგეობას მოუვიდა ბრძანება პეტერბურგიდამ, რომ არც ერთი მოხელე რკინის გზისა არ იქმნას არსად დათხოვნილი, ვიდრე ხოლერის შიშია ამიერ კავკასიაშიო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გასცა: „ხოლერიან ადგილებიდგან ტფილისში მოსულ ხალხისათვის სასანიტარო ზედამხედველობის დასაწესებლად მივანდობ ბოქაულებს, დაავალონ და ბარათები ჩამოართვან სასტუმროებისა, მოავეჯებულ ნომრებისა, სახლისა და ბაკების პატრონებს, შეატყობინონ ხოლმე დაუყოვნებლივ საპოლიციო გამგეობას ცნობანი სპარსეთიდგან, იმიერ კასპიის მხარედგან და ბაქოდგან ტფილისში მოსულთა შესახებ. ბოქაულნი ვალდებულნი არიან ეს ცნობანი ადგილობრივს სასანიტარო დასს შეატყობინონ სათანადო განკარგულების მოსახდენად“.

*** ტფილისის პოლიცმეისტერივე აცხადებს შემდეგს: „მაქვს პატივი დავავალო სახლის პატრონებს ქალაქ ტფილისისას, მათ მოურავებსა და მოიჯარადრეებს, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხოლმე ცნობანი ყველა იმათ შესახებ, ვინც-კი მოუვათ სპარსეთიდგან, იმიერ კასპიის მხარედგან და ბაქოდგან, რათა მათთვის დაწესებულ იქმნას საჭირო სასანიტარო ზედამხედველობა“.

*** 10 ივნისს დაამტკიცა გამგეობამ თერთმეტის სასანიტარო დასის მოხელენი. აი მათი ვინაობა: პოლიციის პირველ ნაწილში დასის თავმჯდომარედ დაინიშნა ხმოსანი პ. ს. ვასილიევი და ექიმი ალამალოვი; მეორეში—თავმჯდ. ხმ. გ. ბ. ტერ-ასატუროვი, ექიმი ცენტნერი; მესამეში—თავმ. ხმ. ი. ს. ბუდდანოვი, ექიმი არწრუნი; მეოთხეში—ხმ. ა. ა. იოანესიანი, ექიმი ა. სარქისოვი; მეხუთეში—თავმ. ი. გ. ხაჩატუროვი, ექიმი გედალინი; მეექვსეში—თავმ. პ. ა. რომანოვი, ექიმი გ. ბ. ტერ-ასატუროვი; მეშვიდეში თავმჯდომარე ჯერ არ არის, ხოლო ექიმია გ. ა. თარხანოვი; მერვეში— თავმჯ. ვ. ვ. ბეზობრაზოვი, ექიმი ვ. პ. პრეობრაჟენსკი; მეცხრეში—თავმ. ნ. ი. თამამშოვი, ექიმი რეხტზამერი; მეათეში—თავმ. ი.

---

# ფელეტონი

### ლევან ბატონიშვილის სიკვდილი ს. ვეჯინში

ლევანი დაიბადა ირაკლი მეფეს 1756 წ. თებერვალში. იქორწინა შობიდან თვრამეტის წლისამ 1774 წ. გიორგობისთვეში. მეუღლე მისი იყო ასული მდივანბეგის ქაიხოსრო ანდრონიკაშვილისა, რომელიც 1772 წელს იყო მოურავად მარტყოფსა და საგარეჯოში. ლევანი იყო დიდი ნიჭის პატრონი ყმაწვილი კაცი, და ამ მხრივ ცალი არა ჰყავდა სამეფო ოჯახში; მიზეზიც ეს იყო რომ 1772 წ. ლევანი მიდის ანტონ კათალიკოზთან და გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად რუსეთში იმპერატრიცა ეკატერინას სანახავად, ვითარცა დანდობილი დესპანი მეფე ირაკლისა. თექვსმეტის წლის დიპლომატმა უარ ჰყო ტრაქტატის მუხლნი, რუსთაგან წარმოდგენილნი, და ამისათვის ამაოდ ჩაიარა ამ დესპანთა მგზავრობამ. ყურადღების ღირსია უდროოდ სიკვდილი ახალგაზდა სახელოვანის ბატონიშვილისა, რომელსაც მალე შეუდგა 1783 წლის ტრაქტატიც. ლევანის სიკვდილისა გამო ჩვენ შევკრიბეთ შემდეგი ცნობანი:

1782 წელს გაზაფხულის პირზედ—აპრილის უკანასკნელს, ანუ მაისის პირველ რიცხვებში ლევან ბატონიშვილი მიპატიჟებული იყო ქორწილში კახეთისაკენ (ს. ვეჯინს, აბაშიძის იოანე ქეშიქჩიბაშის ოჯახში). აქ ეტრფიალა ერთს ახალგაზდა ქალსა, ასათ ვაჩნაძის მეუღლესა. ქალი ქორწილიდან გააპარეს ს. კარდანეხში, სადაც ფეხდაფეხ მიჰყვა თურმე ბატონიშვილი ლევანიც. ქალმა უზრდელობად ჩასთვალა ქცევა ბატონიშვილისა და დანა წააძგერა მუცელში. დაჭრილი ქალისაგან ბატონიშვილი იმ წამსვე გამობრუნდა ს. ვეჯინისაკენ და უვახშმოდ დაიძინა აბაშიძიანთ კოშკში, სადაც იმ ღამესვე გარდაიცვალა. მეორე თქმულება-კი ბატონიშვილის ლევანის დაჭრას აბრალებს ასათ ვაჩნაძეს და მერე, მისისავე ჩაგონებით, მოკვლასაც იმას აბრალებენ მიჩენილ კაცების ხელით. ეს მიჩენილი კაცნი (მკვლელნი ბატონიშვილისა) ყოფიან ყმანი შერმაზან აბხაზისა. შერმაზან აბხაზი მოუკლავთ იმავე მკვლელთ, ვითარცა შემაწუხებელი თვისი ბატონი და, რათა სასჯელს გადარჩენილიყვნენ (შერმაზან ბატონის მოკვლისათვის), ასათ ვაჩნაძეს ჩაგონებით აცხადებენ—„ლევან ბატონიშვილი შერმაზან აბხაზმა მოწამლვით მოკლაო და ჩვენც ამისათვის მოვკალითო“ *). ამ საქმის გამოძიება გადაეცა სამეფოს უმაღლეს სამოსამართლო კრებას. კრების განჩინება იმდენად საინტერესოა—როგორც თვისის ხასიათით, ისე ისტორიულის მნიშვნელობით, რომ ჩვენ ვარჩევთ გავჩუმდეთ და ყური ვათხოვოთ თვით განჩინებას, რომელსაც უმეტნაკლებოდ წარმოვუდგენთ მკითხველს საზოგადოებასა. შერმაზან აბხაზი ქორწილში ყოფილა ლევან ბატონიშვილთან ერთად. აი თვით განჩინება:

„ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოისა, მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. მთიბათვის კგ-ს, ქორონიკონს უო (=1782 წ.) ბეჭედი ზედ-წარწერით: ერეკლე“.

„ქ. აფხაზის შვილის შერმაზანის მკვლელნი თავიანთგან მოკლულს თავის ბატონს შერმაზანს ამ საშინელს ხმას რომ შესწამებდნენ, რომ სანატრელი ბატონის შვილი ამ ჩვენმა ბატონმა შერმაზანმა მოწამლით მოკლაო და ჩვენც ამ ჩვენის ხელმწიფის შვილის სიკვდილისათვის და ჩვენზედაც დიდი დანაშაული ჰქონდა და ჩვენც ამისთვის ის ჩვენი ბატონი შერმაზან მოვკალითო. ეს საშინელი შეწამება მათს უმაღლესობას მეფეს მოხსენდა· მათმა უმაღლესობამ ამ აფხაზის შვილის შერმაზანის მკვლელნი და ამ ხმის შემწამებელნი მოასხმევინა და მრავალ გვარის ფთხილად გამოძიებით გამოიკითხა და მერე ამათი სამართალი და კიდევ ბევრ გვარად ამ საქმის გამოჩხრეკა ჩვენ, საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებას გვიბრძანა. ჩვენ მოსამართლეობის თანამდებობისაებრ, როგორც ამ საშინელის ხმის სიმძიმესა და სიდიდეს შეეფერებოდა, იმისთანას დიდის სიფრთხილით მრავალფერად გამოვიძიეთ და მრავლის ჭეშმარიტად აღმოჩენილის საბუთებისაგან ვიუწყეთ, რომ ამ თავისის მკვლელებისაგან აფხაზისშვილის შერმაზანისა ამ საშინელის ხმის შეწამება ყოვლის მხრიდამ სიცრუე იყო და მკვლელობის შეცოდებით ბრალეულის თავიანთ თავის წამლად წარმომდგარი ტყუი-

---

*) XVII საუკუნის დამდეგს ფახაზეთი აიკლეს და დაიმორჩილეს ოსმალებმა, რომელთ წყალობით ბატონობა დაიწყეს სამეგრელოს დადიანებმა. ამისათვის ერთი წარმომადგენელი შარვაშიძის საგვარეულოსი გადმოვიდა კახეთში და მეფისაგან მიებოძა ერთ-ერთის ამოწყვეტილის ვაჩნაძის მამული ს. კარდანეხში. ამის გამო ამ დროდანვე ჰსუფევდა დაუძინებელი მტრობა აბხაზსა და ვაჩნაძეებ შორის და ასათიც ესრე მოიქცა ამის გამოვე.

ა. ემინოვი, ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი. გარდა ამ დასისა შესდგა აგრეთვე მეთერთმეტე დასი, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია ხმ. ნ. ი. ნიკოლაძე.

*** ახლად ჩამოსულმა მკურნალ—სტუდენტებმა განუცხადეს გამგეობას თავიანთი სურვილი მუქთად ემსახურონ ქალაქს და ყური უგდონ იმ ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს, რომლებსაც-კი ჩააბარებენ. ეს მაგლითი სირცხვილად უნდა ჩაეთვალოს იმ ჩვენს ხმოსნებს საბჭოსას, რომელთაც უარი განაცხადეს და არ მოიწადინეს მონაწილეობის მიღება სასანიტარო დასთა სამსახურში!..

*** გუშინ-წინ, 10 ივნისს გათავდა ეგზამენები ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელში და გუშინ, 11 ივნისს დაურიგეს ატესტატები ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ. სულ მათი რიცხი იყო 34. საჩუქარი მიიღო ამათში ხუთმა. ოქროს ჯვარი მისცეს ნ. მოლფინოს და მ. პერევერზევისას; ვერცხლისა—პაპოვისას, სათინიკ ადამოვისას და პარჩევსკაიას. კურს-გათავებულებში ქართველია 6. აი მათი სახელი და გვარი: ო. ჯორჯაძისა, მ. ვახვახიშვილისა, ან. თარხნიშვილისა, თ. გოგიევისა, ელ. შიუკოვისა და ბ. ყიფშიძისა.

*** „ქუთაისის წიგნების ბეჭდვის ამხანაგობას", როგორც გვიამბეს, თანდათან ემატება წევრთა რიცხვი. ყოველ კრებაზე, რომელსაც მალმალ მოუწოდებს ხოლმე გამგე ამხანაგობისა, ეწერება წევრად ოცი და ოც-და-ათი კაციო. „ამხანაგობა" უკვე შესდგომია პირველ წიგნის ბეჭდვას. პირველ წიგნად ამხანაგობა ჰბეჭდავს ბ-ნ „დუტუ მეგრელის" რამდენსამე პატარ-პატარა მოთხრობასაო. მეორე წიგნად „ამხანაგობას" უნდა დაჰბეჭდოს იტალიელ მწერლის დე-ამიჩისის თხზულება: დღიური შეგირდისა. მისი თარგმნა გამგეობას უკვე მიუნდვია ერთ ქართულის კარგად მცოდნე ახალგაზდასათვის.

*** რამდენსამე ახალგაზდა ნასწავლ ქართველს სურვილი აქვს ამ ზაფხულობით მიმოვლოს საქართველოს ზოგიერთი საინტერესო კუთხე და ადგილი: ფშავ-ხევსურეთი, ოსეთი, რაჭა-ლეჩხუმი სვანეთითური და ბორჯომ-აბასთუმანი აჭარა-ქობულეთითურთ. ვისაც უნდა მოგვიამხანაგდეს, დიდის სიამოვნებით მივიღებთო, ამბობენ ისინი. რაც უფრო ბევრნი ვიქნებით მოგზაურები, მით უფრო სასიამოვნო იქნება და მეტს სარგებლობასაც მოგვცემს ეს დავლა ჩვენის სამშობლო ქვეყნის მივარდნილ ადგილებისაო. მათ გაამხანაგების მსურველთ შეუძლიანთ საჭირო ცნობათა გასაგებად მიჰმართონ ჩვენის გაზეთის რედაქციას.

*** ფოთი: დადგა სიცხეები და გაუჭირდა საქმე ქალაქებს. სხვა-დასხვა გადამდებ სენის გაჩენა ამის გამო ახლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვა დროს. ხოლერის მოლოდინმა ყველგან დიდი მზადება და ზრუნვა გამოიწვია სისუფთავის ჩამოსაგდებლად, როგორც ქალაქ ადგილებში, ისე სოფლად. ჩვენი ქალაქიკი ამ ჟამად ბევრს არას ზრუნავს. ქალაქის მოურავი, აგერ სამი თვეა, პეტერბურგს იმყოფება ქალაქის სხვა-და-სხვა საქმეთა გასაკეთებლად. ჩვენში ჯერ არც სანიტარები სჩანან და არც სხვა გვარ ზრუნვასა ვხედავთ სისუფთავის დასამყარებლად. ყველგან ავი სუნი ტრიალებს და მტვერი და ბუქი სდგას ქუჩებში. ზაფხულობით წინად ქუჩების რწყვა იცოდნენ, ეხლა-კი არც ამას ვხედავთ. ჩვენ ეხლა რიგ-რიგაში ვართ გაბმულნი და ვქეიფობთ ხან ერთთან და ხან მეორესთან.

*** ფოთიდამ: ამ დღეებში ერთს აქაურს ვაჭარს მოჰპარეს „კოლხიდის" სასტუმროში 1,000 მ. ქურდი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

*** იქიდამ: ტფილისის სათეატრო დასი ბათუმიდგან ახლა ჩვენს ფოთს ესტუმრა. პირველი წარმოდგენა 6 ივნისს იყო. წარმოადგინეს „მტარვალი" და ვოდევილი „ცელქები". ხალხი ნაკლებად დაესწრო. 7 ივნისსკი, როცა «სამშობლო» წარმოადგინეს კლუბის დარბაზში, ტევა არ იყო ხალხისა. მესამე წარმოდგენა დანიშნულია 9 ივნისს.

*** კაკკაკი: ბარის ოსეთის მინდვრებში კალია გაჩნდა მრავლად. ეს ოცი წელიწადია, აქეთ კალია არა ყოფილა. მხოლოდ შარშან და შარშან-წინ იყო მცირედ. მაშინ ხალხმა ყურადღება არ მიაქცია, მთავრობას არ აცნობა: გაგვიყვანენ მაგის სახოცად, მოგვაცდენენ, მინდვრებსა და ყანებს გაგვაქელინებენო. იმ კალიამ იბარტყა, იმრავლა და ახლა-კი ისეთის სიმრავლით მოედო მინდვრებს, რომ ხალხი შიშმა აიტანა. სოფელმა აჰიყმა, როცა უფრო მრავლად არის კალია, ახლა იკადრა და აცნობა მთავრობას, გვიშველეთო. ხალხი გასულია კალიის სახოცად, მაგრამ ეს საქმე როგორღაც არ ეხერხება ხალხ, რადგან არ იცის კალიის ხოცვის წესი. სასურველია, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და, ვიდრე ჯერ გვიან არ არის, მიიღოს ყოველივე ღონის-ძიება უკვე კარს მომდგარ ჭირნახულის გადასარჩენად.

*** ბათუმი: ამ დღეებში აქ ზღვაში გადავარდა და თავი დაირჩო ერთმა ახალგაზდამ, გვარად ფ. ბოკერიამ, რომელიც აქაურს ნავთ-საყუდლის სამსახურში იმყოფებოდა. თუმცა მალე მიეშველნენ, წყლიდგანაც მალე გამოიყვანეს, მკურნალიც იქვე შეესწრო, მაგრამ ვეღარა უშველესრა.

*** ოზურგეთი: ახლა-კი დიდი იმედი მოგვეცა, რომ მოვისვენებთ ქურდებისაგან. ქუთაისის გუბერნატორმა შეიწყნარა თხოვნა კოდორის სამოურავოს დეპუტატებისა, რომ ქურდობის მოსასპობად ცალკე კაცები დაინიშნოს ყველგან და იმათ მიენდოთ ქურდების ალაგმვა. ეხლა ყველგან ინიშნებიან ასეთი კაცები. სხვათა შორის, ჩვენშიაც დაინიშნენ და იმედი გვაქვს, რომ ახლა აღარავის აღარა დაეკარგება-რა.

*** გაზეთ „Т. Л."-ში დაბეჭდილია დარიგება მკურნალის გ. გ. ტერგრიგორიანცისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი ხოლერის დროს. მოგვყავს ეს დარიგება შემოკლებით: ხოლერის დროს ადამიანმა წესიერად და ზომიერად უნდა იცხოვროს. გადაჭარბებული ჭამა-სმა მავნებელია. ორშაბათობით, კვირა დღის ქეიფს შემდეგ, უფრო მეტნი ხდებიან ხოლმე ავად ხოლერითა. ადამიანი ძლიერ უნდა ერიდოს ისეთს საჭმელს, რომელიც მაწყინარია კუჭისთვის. უფრო სიფრთხილით უნდა მოიქცეს ის, ვინც კუჭით ავადმყოფია. ძლიერ მავნებელია ხოლერის დროს: ხილი, წვანილი, კიტრი, ბოლოკი, ნესვი, სუქანი ხორცი, დაუდუღებელი ღვინო. საჭმელი ძლიერ უნდა იყოს მოხარშული, ან კარგად შემწვარი. ყოველ გვარი საჭმელი, რომელიც მოუხარშავად და შეუწველად არის სახმარებელი, მაგალითად, ყველი, კიტრი და სხვა, უეჭველად სალღიცილისა ან ლიმონის სიმჟავით და შემდეგ სუფთა წყლით უნდა გაირეცხოს. რძე და წყალი უეჭველად ადუღებული უნდა სვას კაცმა. წყლის სმას ცხელი ჩაის სმა სჯობია. ღვინო წითელი უნდა დაილიოს, წყალ-ნარევი. ჭამის შემდეგ კარგია, რომ კაცმა 8—10 წვეთი მარილის სიმჟავე დალიოს ადუღებულ წყლითა. საჭმელი შუშის ქვეშ უნდა იყოს შენახული ან ლეჩაქით გადაფარებული, რომ მწერებმა არ წაახდინონ. სადილსა და ვახშამს შემდეგ ჭურჭელი ცხელის წყლით უნდა გაირეცხოს.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა სისუფთავე ოთახისა, ტანთ-საცმელისა, საცვლისა. ხოლერის დროს საშიშია ბევრს ხალხში იაროს კაცმა, მაგალითად, ბაზარში და სხ.

სახლებში, ეზოებში, ფეხის-ადგილებში საჭიროა დეზინფექციის მოხდენა.

ხოლერა სამ გვარად იჩენს ხოლმე თავსა.

1) ჩუმი ხოლერა. ავად გახდომის წამიდგან 12 საათიდგან 5 დღემდე გასტანს ხოლმე და ადვილი მოსარჩენია. ჩუმი ხოლერა იმითი შეეტყობა კაცს, რომ კუჭი საჭმელს ძნელად ინელებს. ადამიანს სიცხეს აძლევს, თავი სტკივა და აფაღარათებს. თუ კაცმა რიგიანად მოუარა თავს და იწამლა, 8—14 დღეზედ გასაღდება.

2) ხოლერინა. ადამიანი ერთბაშად ხდება ავად, უმეტეს შემთხვევაში, ღამე. ავადმყოფს აფაღარათებს და პირიდგან ასაქმებს, სიცხეს აძლევს, მაჯა ნელა უცემს, მუდამ წყურვილს ჰგრძნობს, შარდი უმცირდება, ძარღვები უდუნდება, კუნთი ეკვრება, ხმა უსუსტდება. ხოლერინით სიკვდილი იშვიათია. თუ თავის დროზედ და რიგიანად იწამლა, ავადმყოფი 8—14 დღეს მორჩება, ხოლო რამდენსამე კვირას ძლიერ სუსტად იქნება.

3) აზიის ნამდვილი ხოლერა. ეს ავადმყოფობა უფრო საშიშია, ვიდრე ორივე პირველი. ამ დროსაც ადამიანს აფაღარათებს, პირიდგან ასაქმებს, ძარღვები ეხუთება, სუნთქვა უძნელდება, შარდი ეკვრება და სიცხე არა ნელდება.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ: სახელ-დახელო სამკურნალო ხოლერიან ავადმყოფთათვის გამართულ იქმნება ჩითახოვის ფაბრიკის ახლოს ხარფუხში, სადაც ბ-ნს მირზოევს უსასყიდლოდ დაუთმია დროებით თავისი ადგილი ქალაქისთვის. ტფილისის ოლქის სასამართლოს კრებას კიდევ გადაუწყვეტია, რომ მომრიგებელმა მოსამართლეებმა დაუყოვნებლივ გაარჩიონ ხოლმე საქმე იმათი, ვისაც არ შეუსრულებია დავალება სანიტართა დასისა. საგუბერნიო ადმინისტრაციას დაუვალებია მაზრის უფროსთათვის, რომ თავიანთ მაზრის ყველა სოფლებში სასტიკად უბრძანონ ხალხს გაასუფთავონ და დასწმინდონ სოფლები და მოაშორონ ყოველი უსუფთაობა და უწმინდურობა.

*** რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ 1 აგვისტოზე გვიან აღარ დაინიშნება მეორე საქველ-მოქმედო ლოტარეია დამშეულთა სასარგებლოდაო.

*** იმავე გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ლონდონში ვიღაც ქართველი ცხენოსნები და მოჯირითენი არიან, რომელნიც თავიანთ ჯირითითა და სიმღერა-თამაშობითართობენ გულ-ჩახვეულ და შუბლშეკრულ ძეთ ცა-მოშავბედებულ ალბიონისასაო. ეს ქართველნი ინგლისელებს რუსის ყაზახებად მიუღიათ, დიდად თურმე ეალერსებიან და წერილებს ჰბეჭდვენ გაზეთებში იმათ ტანადობასა, მხარ-ბეჭიანობასა, ლეკურსა და ნაღვლიან სიმღერებ შესახებ. ნეტა, ვინ ქართველნი უნდა იყვნენ ეს ქართველნი ლონდონში!

---

ლი; და რამდენისაც ჭეშმარიტის საბუთებით მკვლელთაგან შეწამებული ეს ხმა სიცრუედ აღმოჩნდა, აღწერასა და კალამში გრძლად შემოვიდოდა და ამისთვის მრავალთაგან ეს მოკლედ მოვიხსენეთ: პირველად ესე, რომ სანატრელის ბატონიშვილის სიკვდილს უკან ორმოცს დღემდის ის აფხაზისშვილი შერმაზანც ცოცხალი იყო და იმისი მკვლელებიც აქ იყვნენ; თუ ეს შეწამება ჭეშმარიტი იყო და ერთგულობისათვის შესჭირდათ, რატომ მათს უმაღლესობას მეფეს არ მოახსენეს? ხომ ის ამათი ბატონიც მოკვდებოდა სამართლით და იმისი სახლიც იავარ-იქმნებოდა, და ეს შემწამებელნიც წყალობას მიიღებდნენ, რადგან ამ საშინელს საქმეს მათის უმაღლესობისა და ქვეყნის ერთგულობით გამოაცხადებდნენ. მეორედ ესე: შერმაზანის მკვლელნი რომ შერმაზანისაგან სანატრელის ბატონიშვილის მოწამლვით სიკვდილს რასაც ღამეს და რომლისაც სახით ამბობდნენ, ამაზედ ჩვენ ბატონიშვილის მახლობელნი შინა-ყმანი მოვასხით და თითოეულად ფიცით იმათგან მოხსენებულის აზრების სიმართლე გამოვკითხეთ და ერთობით დაამტკიცეს, რომ არც იმათგან მოხსენებულს ღამეს სანატრელს ბატონიშვილს ვახშამი ებძანოს და არც იმათგან მოხსენებული ნიშნები მართალი ყოფილიყოს. და ამითაც მკვლელნი და შემწამებელნი შერმაზანისანი ცრუ იყვნენ. მესამედ, ესე მკვლელნი იყვნენ და თავიანთ მკვლელობით ბრალეულის თავის გასამართლებლად და წამლად ამბობდნენ. ამისთვის ყოვლის მხრიდამ შეხედვით ეს უსაბუთო დიდი შეწამება სამართალმა არ შეიწყნარა და, თუ ამ შერმაზანის მკვლელებისაგან თავიანთ წამლად შეწამებას გარდა, სხვას ჭეშმარიტების მცირე რისამე საბუთიდამ, ან წერილით და ან სიტყვით ცოტა რამ ნიშანიც არის გვეპოვნა, რადგან მეტად მძიმე საქმე იყო, აფხაზისშვილს ფიცით გავაწმედინებდით; მაგრამ რადგან ყოვლის გამოძიებისაგან აღმოჩენილს ჭეშმარიტებად აღმოჩნდა შერმაზანის მკვლელების სიცრუე და აფხაზისშვილის სიმართლე, ამისთვის ეს ჭეშმარიტად განმართლების განაჩენი მივეცით, რომ აფხაზიშვილისა ამ საქმეში ყოვლითურთ უბრალოება და სიმართლე შვილითი შვილადმდე საზოგადოდ იდიდებოდეს. და აფხაზის შვილი რომ ასათს შესწამებდა—„ეს საშინელი შეწამება ამ ჩემის შვილის მკვლელებს მტერობით შენ ასწავლეო ამ სიტყვით, რომ თქვენ ესე თქვით და აღარა გიშავთრაო"—ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯელ გაიარა და ამისი სამართალი სხვის განაჩენით გარდასწყდა. აღიწერა ივნისის კბ, ქორონიკონს უო.» (ამის შემდეგ ცხრა მდივანბეგის ბეჭედია:)

1) ბეჭედი.

2) გარს აწერია: „მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო". შუაზედ—„ბეჟან". ბეჭედი.

3) «მონა ღვთისა მდივანბეგი თეიმურაზ». ბეჭედი.

4) გარს აწერია: „მონა ღვთისა თუმანიშვილი მდივანი."

შუაზედ—„სულხან". ბეჭედი.

5) „მონა ღვთისა სულხან". ბეჭედი.

6) „მონა ღვთისა მდივანი იოსებ". ბეჭედი.

7) ბეჭედი.

8) „მონა ღვთისა მდივანბეგი ოტია".

9) გარს აწერია: „მიწა ვარ დავითრგუნები», შუაზედ—„დავით".

ამგანჩინებას ამტკიც-ამოწმებენ თავიდან არშიაზედ:

1) დედოფალი დარეჯან—ივლისის დ, ქორონიკონს უო. ბეჭედი.

2) კათოლიკოზი ანტონ I, ივლისის 12, წელსა ჩღპბ.

3) საქართველოს უფლისწული, მეფის ძე გიორგი. ივლისის ზ, ქორონიკონს უო. ბეჭედი.

4) მეფის ძე ბატონისშვილი ანტონი, ივლისის ზ, ქორონიკონს უო.

5) მეფის ძე ბატონისშვილი იულონ, ივლისის Ⴑ, ქორონიკონს უო. ბეჭედი ზედ-წარწერით: ღვთის-მშობლის სასოებით იულონ დავითიანი.

6) მეფის ძე ბატონისშვილი ვახტანგ—იანვარს Ⴑ, ქორონიკონს უოა. ბეჭედი ზედ-წარწერით: ღმად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

7) მეფის ძე მირიან. ივლისის იგ, ქორონიკონს უო. ბეჭედი ზედ-წარწერით: დავითის ტომთ სქესისა ძე კარ ირაკლი მეფისა. მირიან.

8) მთავარ-ეპისკოპოსი ბესარიონ. ივლისის იე, ქორონიკონს უო.

9) ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე. ბეჭედი ზედ-ზარწერით: გერმანე.

10) მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმიდისა და ათორთა უდაბნოთა საბა. ბეჭედი ზედ-წარწერით: საბა.

11) მუხრან-ბატონი იოანე. ბეჭედი ზედ-წარწერით: იოანე.

12) ორბელიანი სარდალ-სახლთუხუცესი დავით *). ბეჭედი ზედ-წარწერით: ინდოთ ტომობის სქესობით მე სახლთ-სუცესობით დავით.

პ. ცხვილოელი.

*) დავით ორბელიანს ჰყავდა მეუღლედ ასული მეფე ირაკლისა თამარ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 28 მაისი. გაზაფხულზე ჩვენმა მთის წყლებმა დიდი მოდიდება იციან. მეტადრე ძლიერ მოდიდდება ხოლმე კისის-ხევი, რომელიც დიდს ზარალს აძლევს სოფელ კონდოლს. ხშირად მომხდარა, რომ ოცობით და ორმოცობით კომლი ულუკმა-პუროდ დაეტოვებინოს ამ ონავარ მთის წყალსა.

ჩვენი ადმინისტრაცია ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობს ამ ტკივილს სოფლისას წამალი რამ დასდოს. ამ აზრით ამაგრებს მდინარის იმ ნაპირებს, სადაც წყალი ადვილად გადადის. ყოველ გაზაფხულობით აუარებელი ხალხი გამოდის ბევრად ამ საქმისათვის. ყოველი გლეხი თელავის მაზრისა ვალდებულია, რამდენიმე დღე შესწიროს კისის-ხევის გამაგრებას. წელსაც თითქმის თთვე ნახევრის განმავლობაში რამდენიმე ათასი კაცი თავის ურმებით, ვისაც-კი საქონელი აბადია, წყლის ნაპირებს ამაგრებენ და ჯერაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა. დიდ-ძალი ფიჩხი და ქვა ჩააყარეს ამ ხევის გაუმაძღარს კუჭს, მაგრამ ბოლოს მაინც არა გამოდის-რა. ერთს მშვენიერს დღეს, ჩვეულებისამებრ, წამოუვლის გალომებული ტალღა, დაეჯახება ფიჩხის წნულს, გაანგრევს და მთლად წალეკავს, რაც-კი გზაზედ დაბრკოლება მოხვდება: მოედება ვენახებს, ყანებს და ბევრს სახლშიაც შეუვარდება ხოლმე. ამ სახით ამოდენა ჯაფა და შრომა, ამოდენა მოცდენა ხალხისა ტყუილ-უბრალოდ გამოდის. ხალხი ვერც კონდოლელებს ჰშველის და თავის თავსაც ჰღუპავს.

იმ გვარი ღონის-ძიება, რომელსაც ჩვენი ადმინისტრაცია ეწევა, მე მგონია, არავითარს სასარგებლო ნაყოფს არ იქონიებს და უბრალო წყლის ნაყვაა. გალომებულ ზვირთებს ფიჩხით ვერ გაუმკლავდება კაცი. თუ უშველის, ისევ კალაპოტის დაღრმავება, გაფართოვება და საშიშ ადგილებში ქვითკირით კედლების ამოყვანა. თუ ხსოვნა არ მატყუებს, ერთ დროს თელავში მსურველიც გამოჩნდა, რომელიც ოთხი ათას მანათად ყველა ამას კისრულობდა გაეკეთებინა, და არ ვიცი, რატომ ამ წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს.

არ იქნებოდა ურიგო, ვისიც ჯერ არს, ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ნივთიერი დახმარება აღმოეჩინა ამ საქმისათვის და, თუ, მაინცა და მაინც, იგი უარს განაცხადებს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ყოველი მკვიდრი თელავის მაზრისა მოვალედ ჩასთვლის თავის თავს, დაეხმაროს ამ საქმეს, რითიც შეეძლება. მე მგონია, რომ ისევ მთელ მაზრის მიერ რამდენისამე ათას მანათის გადახდა სჯობია, ვიდრე ხალხის უნაყოფო, ყოველ წლობით ბევრად გამოსვლა და მოცდენა. ამ ფულით საქმე საშვილიშვილოდ გაკეთდება და სამუდამოდ მოისპობა ის ჩივილი და ტირილი, რომელიც ყოველ წლივ ისმის ხალხში.

არა-მკითხე მოამბე

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Нов. Обоз“-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი:

ამ ჟამად ჩვენში ძლიერ დაძვირდა დამზადებული ხე-ტყე. ეს გარემოება, რასაკვირველია, სასიამოვნო არ არის შენობების აშენებელისთვის, მით უმეტესად, რომ ხანდახან შენობას პატრონს არა აქვს შეძლება, ხე-ტყის გაიაფებას ელოდოს. ეს ხე-ტყის გაძვირება მით უფრო საკვირველია, რომ ხე-ტყე ბევრია, მასალა ამ ჟამად უკეთესი არ არის, ვიდრე უწინ იყო, მუშა-კაცის დღიური ფასიც იგივე დარჩა. ჯერ ისე ეგონა ხალხს, რომ ხე-ტყის ვაჭრებმა პირობა შეჰკრეს და ფასები ასწიესო. ამის გამო ბევრმა იფიქრა, ჯერ ნუ ვიყიდით მასალას, ვიდრე ხე-ტყე არ გაიაფდებაო; მაგრამ დრო გადის და მასალა-კი არ იაფდება.

ჩვენ შემთხვევით გავიგეთ ამ გარემოების მიზეზი. საქმე ის არის, რომ ამას წინად კავკასიაში ერთი საზოგადოება მოვიდა. ამ საზოგადოებამ ისეთი ქსელები გააბა, ისე ოსტატურად მოჰკიდა ხელი ხე-ტყის ვაჭრობის საქმეს, რომ თითქმის მთელი ვაჭრობა ხელში ჩაიგდო: ამ საზოგადოებას ფიქრადაც არა ჰქონდა ხე-ტყის ვაჭრობის იჯარით აღება და არც მთავრობა მისცემდა ამის ნებას, რადგანაც საზოგადოების წევრნი ურიები არიან. და აი ამიტომ ამათაც სხვა გზით მოუარეს საქმეს. დაუწერეს პირობები ტყის მრეწველებსა და პირობაში დიდი „ნეუსტოიკები“ ჩაუწერეს. ამ პირობების ძალით ტყის მრეწველები მოვალენი არიან, ჩააბარონ ამ საზოგადოებას დანიშნულს ალაგას მასალად დამზადებული ხე-ტყე და ამასთანავე ნება არა აქვთ არც ერთი ფიცარი მიჰყიდონ სხვასა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხერხებული ოსტატები „ნეუსტოიკებს“ გამოართმევენ. თუ ვინიცობაა მთავრობამ ეს ვაჭბატონები შეაწუხა, იმათ არხეინად შეუძლიანთ თითონ თავი დაანებონ საქმეს, წავიდნენ კავკასიიდგან და თავიანთ რწმუნებულთ ჩააბარონ საქმე. თუ რამდენად ჩაუგდიათ ხელში ამ კაცებს ტყის ვაჭრობა, აშკარად სჩანს შემდეგის მაგალითიდგან: ამ საზოგადოებას პირობა შეუკრავს ერთ ტყის მრეწველთან და პირობის ქაღალდის ფასი და დამტკიცება 8,000 მანათი დაჯდარა.

ტყის მრეწველი პირობით არის შეკრული და, რასაკვირველია, ეს პირობა უნდა აასრულოს. მოაქვს ხე-ტყე დანიშნულს ადგილას და აქედგან საზოგადოება, მასალას საითაც სურს, იქითკენ გაჰგზავნის და, რა ფასადაც უნდა, იმ ფასად ჰყიდის“.

ნუ თუ არა ეშველება-რა ასეთს მდგომარეობას და არა გზით არ შეიძლება ალაგმვა იმ ვაჭბატონების საქციელისა, რომელთაც მემამულეებისა და ხე-ტყის მყიდველის ძარცვა-გლეჯა მცნებად გაუხდიათ?!

# რუსეთი

ლონდონში დაარსდა „ებრაელთა საახალშენო ასსოციაცი“, რომელსაც აზრად აქვს რუსეთიდგანა და ევროპის სხვა სახელმწიფოებიდგან ებრაელები ამერიკაში გადაასახლოს, უმთავრესად არგენტინის რესპუბლიკაში, და ამ სახით გამართოს ებრაელთა ახალშენი. რუსეთის მთავრობამაც უკვე ნება დართო ამ საზოგადოებას რუსეთიდგან ებრაელების გადასახლებისა. ამ ჟამად ხსენებულს საზოგადოებას ამერიკაში უკვე 3,635 ჰექტარი მიწა აქვს შეძენილი ებრაელების დასასახლებლად. აქედგან 2,500 ჰექტარი ბარონმა გირშმა იყიდა და სრულიად დაასახლა კიდეც რუსეთიდგან გადასახლებული ებრაელები. თუ როგორ წავა „ასსოციაციის“ საქმე, ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ სახელმწიფოთა მთავრობაზედ, საიდგანაც ებრაელთა გადასახლებას აპირობენ.

რუსეთმა, როგორც ზემოდ ვსთქვით, უკვე ნება-რთვა მისცა. დანარჩენ სახელმწიფოების შესახებ ჯერჯერობით არა ვიცით-რა. დამაარსებლებს „ასსოციაციას“ იმედი აქვთ რუსეთიდგან 3,250,000 ებრაელი გადაასახლონ ამერიკაში და მარტო ამ წელს-კი 25,000 სული.

სხვა რომ არა ვსთქვათ-რა და მხოლოდ ებრაელთა წინანდელი მდგომარეობა რუსეთში ვიქონიოთ მხედველობაში, სწორედ თანაგრძნობის ღირსია აზრი ლონდონის ასსოციაციისა. რუსეთში მცხოვრებ ებრაელთა რიცხვი $4^1/_2$ მილიონია და უმთავრესად დასავლეთის რუსეთში სცხოვრობენ. იქაც და რუსეთის სხვა ადგილებშიაც საკმაო ადგილია მათ დასასახლებლად, მაგრამ დროთა ვითარების გამო ებრაელნი ბინას მოწყვეტილან და ქალაქ ადგილებში არიან შეჭუჩულნი.

ამ გარემოებამ ღარიბი ხალხი გაამრავლა ებრაელთა შორის და სწორედ ეს სიღარიბე და სილატაკე აიძულებთ გადასასახლებლად. სიღარიბისა და გაჭირვების გამოვე ებრაელთა ზნეობა ძლიერ დაეცა. ამის დამამტკიცებელი მაგალითი ყველას ეცოდინება, ვისაც-კი რუსეთის ცხოვრებასა და ჟურნალ-გაზეთებისთვის უდევნებია თვალი. გადასახლება შრომას შეაყვარებს და ამ გზით გააკეთილზნიანებს ებრაელებს; მეორეს მხრით სხვა ერსაც თავიდგან მოსცილდება ცუდი ელემენტი. ეს ხომ ესეა, მაინც საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სხვები ტვირთულობენ ებრაელების გაკეთილზნიანებას, მათს დასახლებას, მიწად-მოქმედების სწავლებას, და რუსეთი-კი ვერ ახერხებს ამასა.

განა უბრალო საქმეა, რომ სახელმწიფოს 3,250,000 კაცი მოაკლდეს 25 წლის განმავლობაში? თუ იმას იტყვიან, რომ ებრაელებს მიწად-მოქმედების შნო არა აქვთო, მაშ ბარონ გირშს და სხვებს რად მიჰყავთ სამიწად-მოქმედოდ და ან თვითონ ებრაელები რად მიეშურებიან ესეთის სიამოვნებით ამერიკისკენ. ალბად შრომაცა და მიწად-მოქმედებაც შესძლებიათ ებრაელებს და რუსეთმა ტყუილ-უბრალოდ უნდა დაჰკარგოს ის იმდენი ხალხი. გაჭირვების დროს იმათგან ერთის კორპუსის ჯარის გამოყვანა შეიძლება, სხვა რომ არა ვიანგარიშოთ-რა. თორემ მომხმარებლად რომ ჩავრიცხოთ და კაცის თავზედ ათი თუმანი ვიანგარიშოთ წელიწადში, მაშინ ყოველ წლიური დასაკლისი რუსეთის წარმოებისა 325 მილიონი შესდგება. მარტო ცალიერი პური, თთვეში კაცის თავზე დამშეულთა კვალობაზედაც რომ მხოლოდ 30 გირვანქა ჩავაგდოთ თთვეში, 30 მილიონი ფუთი შესდგება. დააკლდება ამდენის საქონლის მომხმარებელი და წარმოებაც შეუმცირდება რუსეთსა.

# უცხოეთი

**გერმანია**. თავისუფალ მოაზრეთა დასი თანდათან უფრო მეტს მომხრეებს შოულობს სამხრეთ-დასავლეთს გერმანიაში; ჰეიდელბერგშიც-კი, რომელსაც კონსერვატორთა წარმომადგენელი ჰყავს რეიხსტაგში, დაარსდა თავისუფალ მოაზრე საზოგადოება, რომელიც ძლიერა ცდილობს თავის საქმის გავრცელებას. ესეთმა წარმატებამ აიძულა წევრნი ხსენებულის დასისა, რომ დრო-გამოშვებით გამართონ ხოლმე საზოგადო კრება. ერთი ესეთი კრება შარშან მოხდა ფრანკფურტში და მეორეც კიდევ ამ რამდენისამე დღის წინად მანჰეიმში. ამ კრებაზედ გერმანიის თავისუფალ მოაზრეთა დასის მეთაურმა ევგენი რიხტერმა ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც აქ ჩვენ შემოკლებით მოგვყავს.

რიხტერმა პირველად აღნიშნა გამარჯვება თავისუფალ მოაზრეთა დასისა, რომელმაც უკანასკნელ არჩევანების დროს თავის წევრთა რიცხვი 32-დგან—68-მდე აიყვანა და უმთავრესად საზარალოდ ნაციონალ-ლიბერალთა დასისა. შემდეგ რიხტერმა თვალი გადაავლო რეიხსტაგის მუშაობას უკანასკნელ სესსიაზე. ჯერ ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ რეიხსტაგმა გადასწყვიტა პურის ბაჟს ნუ შევამცირებთო: «ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყოვო, სთქვა რიხტერმა,—მაგრამ თვით გერმანიის მთავრობასაც შეემთხვა ესეთივე მოულოდნელი ამბავი. გრაფ კაპრივის აზრით, ძლიერ საიმედო კომისარი გერმანიისა, რუსეთში გაგზავნილი, ამბობდა, რაც უნდა ცუდად წავიდეს რუსეთის მოსავლის საქმე, მაინც, რაც გერმანიას პური დასჭირდება რუსეთისა, სრულად მიიღებს და საჭიროებას დაიკმაყოფილებსო, მაგრამ რუსეთის მთავრობამ სრულიად მოულოდნელად აღკრძალა სამზღვარ გარედ გატანა პურისა. გაძვირდა ამის გამო შავი პური გერმანიაში და ღარიბს ხალხსაც გაუჭირდა ცხოვრება, შემცირდა წარმოებაცა და მოხმარებაც“.

სავაჭრო ხელ-შეკრულობათა შესახებ რიხტერმა სთქვა: „ამბობენ, ვითომც ჩვენი დაკმაყოფილება შეუძლებელი იყოს მთავრობის მიერ, ვითომ ჩვენ მხოლოდ ბუზღუნი და უარ-ყოფა ვიცოდეთ, მაგრამ უმთავრესად ჩვენ არ დავუჭირეთ მხარი მთავრობას სავაჭრო ხელ-შეკრულობათა საქმეში?! და არა მარტო ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმაც-კი დაუჭირეს მხარი! პურის ბაჟის დაკლების წინააღმდეგნი იყვნენ აღმოსავლეთ პრუსიის კონსერვატორები. წინააღმდეგობას უწევდნენ აგრეთვე ნაციონალ-ლიბერალები იტალიიდგან შემოსატან ღვინის ბაჟის დაკლებას. ეს უკანასკნელი საქმე ჩვენთვის საიმისო დიდი არა არის-რა, მაგრამ თვით იტალიისათვის-კი conditio sine qua non არის სავაჭრო ხელ-შეკრულობის მიღება. მას შემდეგ, რაც იტალია სამთა კავშირს მიემხრო, საფრანგეთის ბაზარი დაუკარგა თავის ღვინოს და ამიტომ გერმანიაში მაინც უნდა ჰქონდეს გახსნილი გზა“. პური, ბაჟის შემცირება, რიხტერის აზრითი ძლიერ სასიამოვნო ამბავია, რადგანაც გერმანიის მცხოვრებთა რიცხვი თანდათან მრავლდება და ამასთანავე ერთად ძლიერდება მოთხოვნილება საზღვარ გარეთიდგან მოტანილის პურისა.

რიხტერი ბისმარკსაც შეეხო და რამდენიმე უკმეხი სიტყვა გადაჰკრა. „ბისმარკი რეიხსტაგში არ მოდის და მაშ რაღად მოინდომა კანდიდატობა? რეიხსტაგში იმისს სახელს ამოიკითხავენ ხოლმე, სავარძელიც არის დადგმული, რომელზედაც იმისი სახელიც აწერია. რა ნაირად გვესიამოვნებოდა, რომ მოსულიყო. რაკი ოპპოზიციაში გვეყოლებოდა, მაშინ აწინდელს მთავრობას დავუმტკიცებდით, რომ საპარლამენტო ოპპოზიციას ნება აქვს არსებობისა, თუმცა თავადი ბისმარკი წინად თვითონ არ ეთანხმებოდა ამ აზრსა“.

სასკოლო კანონის შესახებ რიხტერმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საგანი მხოლოდ პრუსიის პალატას უნდა განეხილა, მაგრამ მთელის გერმანიის საერთო ყურადღება მიიქციაო. რიხტერმა აღნიშნა ამასთანავე ის საშიში და ცუდი შედეგი, რომელიც აუცილებლად მოჰყვება საქმეს, თუ სამღვდელოებას უფლება მიენიჭა სკოლის წარმოებისა და მოქალაქენი სარწმუნოებისდა გვარად იქნენ დაყოფილნი. სასკოლო კანონთან საბრძოლველად თავისუფალ მოაზრეთა დასი იძულებულ შეიქმნა შეერთებოდა თავისს მტერ-მოყვარე დასს ნაციონალ-ლიბერალებისას. მაგრამ საპარლამენტო ცხოვრება გერმანიისა და პოლიტიკა გერმანიის მთავრობისა ისეთის გარემოებით არის მოცული, რომ სხვა-და-სხვა საქმის თაობაზედ სხვა-და-სხვა დასნი მრავალ გვარად შეუერთდებიან ხოლმე ერთმანეთსა. ამიტომ ამ თავითვე ძნელია ითქვას, თუ რომელს დასთან მოუხდება შეერთება თავისუფალ-მოაზრეთა დასს მომავალ სესსიის დროს. მომხრენი სასკოლო კანონისა ცენტრი და კონსერვატორები იყვნენ. მაგრამ მთავრობამ უკანვე წაიღო თავისი პროექტი, როცა ბიუჯეტის ყოველივე მუხლი უკვე დამტკიცებული იყო და ამიტომ ცენტრმა თავისი ჯავრი „ერთს საწყალს კორვეტზე“ (გემზე) ამოიყარა, რადგან იმისი აგება ჯერ დამტკიცებული არ იყო“.

რიხტერი კვლავ დაუბრუნდა თავის დასის ავკარგიანობას: „წინანდელს პალატაში მხოლოდ ორი უმრავლესობა იყო შესაძლებელი: უმრავლესობა კონსერვატორ-ნაციონალ-ლიბერალთა. ამ ჟამად ეს უკანასკნელი უკვე სრულიად მოისპო. ნაციონალ-ლიბერალთა ადგილი თავისუფალ მოაზრეთა დასმა დაიჭირა და სახელი და პატივისცემაც მოიპოვა ამასთანავე. წინად კარგი საზოგადოება ზურგს გვაქცევდა, გვერიდებოდა, ჩვენი გაცნობა უზრდელობად მიაჩნდა. ეხლა შველასაც-კი გვთხოვენ და, როგორც ამბობენ, ხანდახან ზოგს ჩვენგანს და მეც ცოტაოდენს მამულის მოყვარეობასაც მოგვაწერენ ხოლმე!.. ამას წინად ამოვიკითხე ერთს ნაცი-

ონალ-ლიბერალთა გაზეთში, რომ ვითომ ჩვენ ეხლა უფრო ზომიერნი შევქმნილვართ! ჩვენი საძიებელი საგანი ყოველთვის ზომიერი ყოფილა და არის; მაგრამ საგანი შეიძლება ზომიერი იყოს, ხოლო სურვილი იმის განსახორციელებლად ძლიერი უნდა იყოს და ყოველის ძალ-ღონით უნდა ეცადოს კაცი ამ სურვილის შესრულებას. ჩვენ-კი არ შევცვლილვართ, ნაციონალ-ლიბერალები შეიცვალნენ: ბისმარკი აღარა ჰყავთ, რომ მათ მაგიერ იფიქროს, და ახლა თვითონ მოუხდათ ფიქრი და ჰკუის ვარჯიშობა“.

დასასრულ, რიხტერმა გაჰკიცხა ანტისემიტიზმი და ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „მით უფრო მტკიცედა გვაქვს გადაწყვეტილი თავი გავუსრისოთ ამ გველს (ანტისემიტიზმს), რომ იგი უკვე გამოსრიალდა ბალახებში. უმთავრესი ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ ვებრძოლოთ მოქალაქეთა დანაწილებას ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წოდების მიხედვით. ჩვენ არც სემიტობა გვინდა, არც ანტისემიტობა, არც კათოლიკობა, არც პროტესტანტობა, არც სოფლელობა, არც ქალაქელობა, არც მუშობა, არც ბატონობა—ჩვენ გვინდა დავიცვათ საზოგადო ინტერესები ყველა დასთა“.

## დეპეშა

10 ივნისი

**პოტსდამი.** სადღესასწაულო სადილის დროს ახალს სასახლეში იმპერატორმა სადღეგრძელო წარმოსთქვა და მოიხსენია დაახლოებული კავშირი ჰოჰენცოლერნებისა და სავოიებისა.

**ვენა.** საქორწინო დღესასწაულის დროს თავადმა ბისმარკმა გრაფს ანდრაშის უწოდა შემომქმედი ავსტრია-გერმანიის კავშირისა. თავადს დიდი ოვაციები გაუმართეს. გრაფმა შუვალოვმა სადღეგრძელო წარმოსთქვა თავადის ბისმარკისა და იმის ოჯახისა.

**პარიჟი.** დინამიტის მწარმოებელ საზოგადოების გამგეობის ერთმა წევრმა, სენატორად ნამყოფმა ჟილბერ ლეგემა და არტონ ლეგემ 5 მილიონი გაფლანგეს „საზოგადოებისა“. ჟილბერი წავიდა პარიჟიდგან, ხოლო არტონი დაპატიმრებულ იქმნა.

11 ივნისი

**ლონდონი.** სიმლიდამ იწერებიან დეპეშით დღეს, თუმცა ავღანისტანის ემირმა აღუთქვა შენდობა აჯანყებულ ხაზარასებს, ეს ტომი მაინც არა სცხრებაო. ყანდაარის გუბერნატორმა გაილაშქრა მოშველებულის ჯარით ტირნისს, რომელსაც გამარჯვებით შეესივნენ ხაზარასები. ყანდაარში ხმა დადის, რომ ემირის ჯარები კვლავ რამდენჯერმე დამარცხდნენო.

**ათინა.** ახალი კაბინეტი შესდგა ტრიკუპისის თავსმჯდომარეობით.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 193½ | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | — ,, | 102½ |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 99½ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102½ | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98½ |

### გამოსადეგი ცნობანი

დიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## განცხადებანი

რუსეთის ცეცხლისაგან დამაზღვეველი საზოგადოება

კანტორა მთავარის სააგენტოსი კავკასიის მხრისათვის იმყოფება ტფილისში, განოვის ქუჩაზე, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდით, ყაზაროვის სახლში

ინსპექტორი საზოგადოებისა
ტარანოვი

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე-
(7—74—6)

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

**ილია ჭავჭავაძის**
**თხზულებათა**
მეორე ტომი

გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ამ ტომში მოთავსებულია:
1) მგზავრის წერილები (სრული),
2) გლახის ნაამბობი,
3) კაცია ადამიანი?!

ფასი 1 მ.

კარგ ქაღალდზედ ყდით ეღირება 2 მ. 50 კ.

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

**„ახალი ანბანი“**

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . , . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ათაბაგნი**
ბექა და აღბუღა
და
მათი სამართალი,
ნ. ურბნელისა.
ფასი ათი შაური (50 კაპ.)
(6—6)

იძლევა ქირით

**სარდაფი**

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

წარმოება
**ასფალტის სამუშაოთა.**
ისყიდება
**ასფალტი და გუდრონი**
უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.
(15—6)

**მაღაზია სარპინკებისა**
(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**
**ბენდერ და სცეფანოვი**
(35—56—26)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

**ჯილდოს.**

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.
(10—0—9)


Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.